ISSN 0132-6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიანგი

3
თებერვალი
1988

ნახ. ჯ. ლოლუასი



უსიტყვოდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სატირულ-იუმორისტული ლირიკა

ეს რა მომხდარა?!

ეს რა მომხდარა, როგორ მომხდარა?! —
ვერც გაგვიგია, — საქმე წამხდარა!..

მართალი კაცი ატირებულა,
მტყუანი კაცი გაცინებულა,
უაზრო აზრი გაწიგნებულა,
გულუხვი გლეხი გაციგნებულა,

პაპათა კერა გაცივებულა,
ულრუბლო დარში გაწვიმებულა,
შეყვარებული ცოლი და ქმარი
სამი თვის თავზე გაცილებულან!..

ეს რა მომხდარა, როგორ მომხდარა?! —
ვერც გაგვიგია, — საქმე წამხდარა!

ულირს თანამდებობის პირებს

თუ სათქმელს დღეს პირში გიცხადებენ,
თუ ვწუნობთ თქვენს ხმას და კილოს,
გული ნუ მოგდით და ნუ ცხარდებით,
სხვა დროა, ნურაფერს ჰკვირობთ!

ფიალა მოთმინების ივსება,
თუ ქმენით საქმენი უსწორი,
ხომ ხედავთ, ნაკლსა და ღირსებას
იმასაც მისხალ-მისხალ ვუწონით!

თუკი დღეს პატივში ხართ ყელამდე,
დრო მაგ თქვენს „დროშებსაც“ დახრის,
დაარქმევს თავის სახელს ყველაფერს
მსაჯული უმკაცრესი — ხალხი!

ვაშენებდით ცხოვრებას!..

სულ რომ წინ მივდიოდით,
თურმე უკან ვიხევდით,
ვაფასებდით ცხოვრებას
ცრუ ციფრების მიხედვით!..
ტაშს ვუკრავდით მქუხარეს,
ქუდებს ცაში ვისროდით,
თუმც მიზეზი ზეიმის
ყოველთვის არ ვიცოდით!..
ვაშენებდით ქვეყანას
ქაღალდებით, სიტყვებით
და გვეგონა — ერთადერთ
შეუმცდარ გზას მივყვებით!..
იქცეოდა ქვეყანა,
ვეფლობოდით ჭაობში,
მაგრამ ხმას არ ვიღებდით,
არასოდეს ვდავობდით!..
„წ ა მ ა ტ ე ბ ი ს“ მაგივრად
„წ ა რ მ ა ტ ე ბ ა ს“ ვამბობდით,
კმაყოფილი ვიყავით,
დრო გაგვყავდა გართობით!..
სულ წინ, წინ მივდიოდით,
თურმე უკან ვიხევდით,
ვაფასებდით ცხოვრებას
ლოზუნგების მიხედვით!..
ვაშენებდით ქვეყანას
ქაღალდებით, სიტყვებით
და გვეგონა, — ერთადერთ
შეუმცდარ გზას მივყვებით!

შიდსი

მოდის, მოგორავს, მოიზლაზნება,
მოატყლაშუნებს შავ ფრთებს ყორნისას,
მოაქვს ქოლერისფერი აზრები
სიცოცხლის ყოფნის და არ ყოფნისა.

სისხლიდან სისხლში მოდის ხველებით,
უდაბნოების მოსდევს განგაში,
რომ კაცთა მოდგმა ეშმას ხელებით
ბავშვივით ჩაკლას თავის აკვანში.

სტვენით, მუქარით მოდის მუდრეგი, —
დაგეშილია კაცთა სხეულზე!..
ადამიანო, ფარი უდრეკი
შემოაგებე დროზე წყეულ სენს!

ვიდრე დრო არის, ფარი უფარე,
არ დაახანო ფარის მიგნება,
ველარ გიშველის მერე უფალიც
და ყველაფერი გვიან იქნება!

სიმართლე

ახლა ხმამაღლა ვამბობთ და
სულ აღარ გვეუცხოება,
რომ არცთუ ისე ლამაზი
ყოფილა ჩვენი ცხოვრება!
ჩვენი გზა, ძნელად სავალი,
თურმე არც ისე ლაპლაპებს, —
ზარ-ზეიმებზე ყოველთვის
როგორც ვუკრავდით დაფდაფებს!
არც ისე დალხინებულად
გვქონია თურმე საქმენი,
და მაინც ერთმანეთისთვის
პირში ვერ გვითქვამს სათქმელი!
რა ჯოჯოხეთში გვივლია,
ვიდრე აქამდე მოვედით,
მტრად ცხადდებოდა, ვაიმე,
მართალი სიტყვის პოეტი!..
სამშობლოს სამტრო რა ჰქონდათ
ტიციანსა და პაოლოს,
მათებ მამული ვის სწამდა,
ვის სწვავდა ბოლოს და ბოლოს?!
ვინ ააძგერებს ხელახლა
ციმბირში ჩამქრალ ცხელ გულებს,
გამეტებულებს ულმერთოდ,
ცამდე მართლებს და ერთგულებს?!



ნახ. ბ. ზუბაშვილისა

უსიტყვოდ

თურმე არც ისე უნაკლო
ყოფილა ჩვენი ცხოვრება! —
ახლა ხმამაღლა ვამბობთ და
სულ აღარ გვეუცხოება!..
ცა იწმინდება, ქარს მიაქვს
ღრუბლები ნაფლეთ-ნაფლეთად!..
ვაი, რა სიმწრით დაღამდა,
ვაი, რა გვიან გათენდა!

ზოგიერთ ორატორს

შენი სიტყვა
არასოდეს არვის ესმის,
შენი სიტყვით
არასოდეს ვბრიყვდებით,
რადგან აზრებს ჩაგვჩიჩინებ,
როგორც წესი,
ლინოტიპზე
ჩამოსხმული სიტყვებით!

დაცემა

რბილ სავარძელში ჩაფლული
დღედაღამ ფულებს ითვლიდა,
არ აკლდა ოქრო და ფული,
მაინც ყველაფერს ყიდიდა.

გაყიდა სინდის-ნამუსი,
რაც ჰქონდა — მცირეოდენი,
გაყიდა ბინის ორდერი,
გაყიდა შრომის ორდენიც!..

რაზეც კი ხელი მიუწვდა,
სუყველაფერი გაყიდა,
მაღალი ღმერთი მიუხვდა
და ჩამოსძახა მაღლიდან:



„ყოველი მაშინ დაიწყო,
ეშმაკს რომ სული მიჰყიდე!
სჯობს ჯოჯოხეთში, ძამიკო,
შენივე ფეხით მიხვიდე!“

წერილის კვირეული

ვისაც გინდათ და არ გინდათ,
სადაც ხართ და როგორც ხართ, —
წერეთ, წერეთ წერილები
როგორმე და როგორღაც!

გაიხსენეთ მისამართი
ვარლამის და მიტროსი! —
სურვილია კავშირგაბმუ-
ლობის სამინისტროსი.

ნუ დაზოგავთ შაურიანს,
ქაღალდსა და მელანსა,
გაუგზავნეთ წერილები
ვისაც იცნობთ, ყველასა,

რომ პირნათლად მოიხადოთ
ვალი მოქალაქური,
დიდ საქმეზე მიიტანოთ
თქვენი წილი აგური!

წერილების ქარიშხალმა
მთა-ველს გადაუარა!..
წერეთ, წერეთ, სულ ერთია,
გეწერებათ თუ არა!

„პარი-პარალე!..“

თავთავს ცოტა მარცვალი აქვს,
ძროხა ცოტას იწველის,
ტრაქტორს ჩვენთვის არ სცალია,
ლამის მოკვდეს... სიძველით!
შემოდგომა არ დამდგარა,
ვაშლის ხე ჰგავს მოკრეფილს,
გლეხკაცები აღარ ჩანან,
ბაღებს კრეფენ ნოქრები!..
ფუტკარს შრომა ეზარება,
შაქარს თაფლად ასაღებს,
სხვის ბუდეში ნელა-ნელა
გუგულები ჩასახლდნენ!..
„ეს გვაკლია, ის გვაკლია!“
ვწუწუნებთ და ვბრაზდებით,
საქმისათვის ვის სცალია?! —
თავს ვიწონებთ ფრაზებით!..
სანახევროდ ვირჯებით და
სანახევროდ ვიღლებით!..
მაინც მარჯვე ბიჭები ვართ,
ყელი გვტკივა სიმღერით:
„პარალე, პარი-პარალე,
პარი-პარალე, პარალე!..“

კარიერა

ცოტა კიდევ უფრო მაღლა,
ცოტა ღრმად და განიერად,
ცოტაც, ცოტაც და შორს წახვალ,
მზად იქნება კარიერა!

ერთი წუთით არ შეჩერდე,
არსად შედგე წამიერად,
დიდთან — მუხლზე, სხვასთან — ცერზე
და... ხელში გაქვს კარიერა!

ნუ იდარდებ, წინსვლამ თუკი
ჯიბე დაგიცარიელა,
გაივსება, როგორც თუნგი,
როცა მოვა კარიერა!

გაძრომას და გამოძრომას
დაეუფლე ჰაიჰარად,
ვიღამ იცის ძმათა ძმობა?! —
მთავარია კარიერა!

გადაევლე, რაც წინ დაგხვდეს
ჯებირად თუ ბარიერად,
თუნდ ქვეყანა სულ მთლად წახდეს,
ოღონდ იყოს კარიერა!

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

ნახ. ი. ჟეინაშვილისა



უსიტყვოდ

ყურადღება ოყაროს ნაკვეთი!..

ტყიბული რომ, იმერლების თქმისა არ იყოს, „კაი ხიფოფრეული“! — ამის შესახებ ვის არ მოეხსენება! ისიც ყველამ იცის, რომ ქალები ხვიფა და ბარაქაა ჸირდასარ ქვესტენდიდან შაი ოჭროს სახით იღებს და ამიტომაცაა, ტყიბულის ვიწრო ხეობაში აღარ ეტევა მზრუნა ზელის, მშვენიფლეს და სტეპარს ყოველთფის სასიამოვნო სიურპრიზებით ეგებება.

ასე მშვიფლდა იგი „ნიანგსაც“.

ფლენიფაზე გარეტიკეშია ყველა ნაკლის მძებნელი, არც სასიკეთო ზრაფა-ბარგას დაუკარგავს ვინმეს ენა. „ნიანგი“ ფა სწრიფედ იმიტომ, რომ შეუფიდოშთად მიეზღოს „კეთილნი — კეთილნიო“, მასანთნელის გარეშე, ვინაფანაც სიტყვას გიყვლის, აზრს გიუზიარებს, სიარული არ უყვარს.

ტყიბულში ასეთი სხვა ვინ იქნებოდა, თუ არა **კოწია ცნობილაძე, პირი სახოფაფო,** რომელმაც ყველა აპუორის გული ნაფები იფის.

ფა ეს „ნიანგი“ ფა კ. ც-ძე დაფიან ტყიბულე-ყველის შუქ-ჩრდილებში.

მას შემეფვე, რაც „ნიანგი“ ამ ქალაქში ან ყოფილა, ქვეყნის ოჩტმს ფეხაწყფიდილ, სასიკეთო გარდაქმნის ფერხულში ჩაბმული ფეშაბეკთა ქალაქში ბეკრი თვალსაჩინო სიახლეა. ჯერ მარტო საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი რად ღირს, იგი 480 მოსწავლეზეა გათვალისწინებული. ხუთსართულიანი საერო საგიჩოსენელი, სასწავლო კორპუსი, უნივერსალური საყოფაცხოვრები კორპუსი, სასწავლო საწარმოო სახელოსნოებით ჩინებულ კომბინატს ჭმნის!.. ძველ ტყიბულში, ტყვარჩელის ტუჩაზე, თვალს ასარეს ასალი ბაგა-ბაღი, ოქვე, ჯაფრების ხეივანში, დიდებული პარკი გაშენებინაფ.

— ეს, ბატონო, საოტტომპრო საწყენელ მიეროფა ტყიფულს, — ცალი წარბი აკეაზე კ. ც-ძეს, — მარა ეზ-რაფ მიწის ზეშოფაა! ახლა მიწის ვეფლი ან ოკიოხეფო? ოქვე სიახლეა — ქვანახშირის მოამზადებელი ახალი კომბინატი „ყნ“ ავამშაფეთ და ეს ანი კოდეკ უფრო ეიზრაფება ნიაღფისეული მოპოოვება!..

მეშაბტეთა სახელოვანი ქალაქისა და მისი მშრომელების საქეკეფოფა სანინი შუქის ინრგეფა კაი-კაი სიტყვების თქმა კოდეკ შეუძლია მასანთ�sელს, მაგრამ მის დღეში მეეცილეგიმაძეკან „ნიანგს“, როგორც ფიოხეკეტს ეფოის იფის, მოფელი მისი დღე და მოსწრება გაკრიტეკებუ უკორავს ოფალი და ფროოის მოთხოოვნაა შესაბამისად ახლა სამუშაოზე ყი ქვეტსნელში კი არა, თავად ადამიანების სულში რა ხდება, ის ანინტერესებს.

„ჯერ ზრომით კოლეკტიფში, რიგ სამეურნეო და პარტიეფ მუშაკი ჯერ კოდეკ არ იგრძნობა გარდაქმნა, ანლეფენი აზროოვნება“ (ქეეფოთ მოკახსენეფთ, სადაცაა ეს ციტატა). ამის დასტური დღე ფ შეფდგა ის, რომ ქვანახშირის ამოღების გეგმაში ჯერ ეკასრულეს ლენინის სახელობისა და დასაფეკეთის ბაზეკმაზე. რეა საწარმოთ ბარმაზფელთან შეფილენით შეამეფინა პროდუქციის წარმოეფის ზრდის ტემპი. კოლეპეურნეობებმა გასულ ცხრა თვეში სახელმწიფოსთან ხოლოს მიეფიფთ 601 ტონეი ხბოროკეს. საფორხე ეკმნენი მოლიანად ამ სფეროში ფეფილი შემოსავლის გეგმის ბეზრულებას. მშრომელთა მრავალეული საყოფაცხოვრებელი პროოვებიდ კი არ არის შეკმნილი ქალაქის სამრეწველო კომბინატში, საყოფაცხოვრები მომსახურების ბაეკ ობიექტზე!.. ასეთია ეკონსულტაციი რომ ტყიფიან, „მშრალი ფინალეფში“, რომელთაგან ეფალი ან ბეკეი (და ტყიბულის პარტიულ-სამეურნეო აქტიეის კრაბს დიიახაც ეფდეკეა ეფდეკეა ბაეფერა „ჯერ კოდეკ არ იგრძნობა გარდაქმნა, ანლეფენი აზროოვნება“).

ახლა იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ, რა აზეოხით ქეფაში შემხვედრია თუ მახტში მომეფეკე ტყიბულელეფს.

რაინეზეკრანული პარმალეზე. ოფსარ ბაგაჩრიხიძე:

— ალი ნელოსანია, მახტში ეფუშაობ. ფუფლს გვარნანად ეფლეფლოს, მაგრამ რად ეინდა?! — საყოფელად ის არ ეარკა და ყოფეთი, რაც ეე მაინდა, ეარ ეშოფლოს, რომ შეეიანინო!

— მაინც რა ეინდათ და ეარ მოფლობთ?

— **ბეეარი ალიფარი:** ცეშენი, ეფლის მილეეი და ბოსი მოფეფაობთ, ხეარიანი ტანსაფეფთ, ფეეხაფეფი, ალეეი. სხვათა შორის ალეკოპანქანაც კი მინდა ეე. ჩვენი მახტის ფლეშძეკანელის ნინა ეფლეფნი 70-80 ალეკოპანიანეი ანაეფლებდა მოწინავეე ეე. ახლა მხოლოდ 10-12 ნაეფლებეა! კი ეფდა გაეკარკეთის ეინ-ეეეეი, რატომ ხდება ასე?

ეპარლეა ბაეინაძეძე: — მარილეს ამბობს!... ეეეფალეთი ოჩკანს თუ ეფლის გაეკანინალიანთან ეაეეი ეარ ხდა მოწეფილეთან ან, მალეზიაში კი არა, ხელეზი ეკრ ეშოფლეთ და ქეთაინში ეეეოფლეთან სპეეეალისტანთან ეეეეფლეთ ფეახდ!..

ფაპალეეთის ეეახტის ტარიტორიაზე. მიორგი ქაპანაეეილი:

— ამეეფლეს ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელეეეის ოოკანი! ამ ბოლო დროს ბოოეეთია და მიხი ბახეეკრეფანტაკეეეთო კარგად ეპარაკეეეთი და ამ მხრივ ნამდვილად ოყრანნაა გარდაქმნა, მაგრამ ლეობიოის, კომბინატის, მეეანილეეა და სხვა სახის ბოსტნეეეეეს ბაზარში ეეეოდელეთ მაპახისხლეთ. მოგვარება უნდა ამ საკითხ! **ეაკოოოეეეეე

ნახ. გ. ლომიძისა



სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა

ნახევრად სერიოზული ფიქრები

● **ვინც** არსად არ არის, ის შეიძლება ყველგან იყოს.

● **ვინც** ფითრდება, ყველა მშიშარა როდია.

● **მტრის** ტყვიას შეიძლება გადაურჩე, მოძმის საწამლავს ვერ გაექცევი!

● **არ** არსებობს ისეთი ჩინი, კაცს ადამიანობას რომ შემატებს.

● **ფონს** გასვლა ვერაფერი გმირობაა, ფოწამდე მისვლაა საქმე.

● **ქვეყნის** შემოქმედმა ყველაფერი დაწერა, ახლა მისი ნიჭიერად წაკითხვაა საჭირო.

● **თუ** ზოგიერთი მკითხველი მის წაკითხულ წიგნზე უფრო მშვენიერია, წიგნის ავტორს ამაზე გული არ უნდა დასწყდეს.

● **ზოგი** ჯერ აკეთებს, მერე ფიქრობს. პირიქით რომ მოიქცეს, შეიძლება ვეღარ გააკეთოს.

● **თავი** ისე არ უნდა დაიდაბლო, რომ ვინმემ სკამად გამოიყენოს!

● **ზენთვის** როდესაც ცხოვრობ, ყველაზე მეტად მაშინ გაკვირდებიან სხვები!

● **თუ** ქვას გესვრიან, ჩანს, ნაყოფი გასხია!

● **მეცნიერების** სუფრაზე ერთი ადგილი მაინც მოიძებნება უვიცისთვის, მაგრამ აუცილებელი როდია ის ადგილი შენ შეავსო!

● **ადამიანები** იმდენად წინ მივდივართ, რომ ჩვენი კულტურა თან ვერ მოგვყვება.

● **მამის** წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილე შვილი კარგი მამა ვერ გახდება.

● **თუ** წაიქეცი, დროზე წამოდექი, თორემ წამოგაჯდებიან!

● **იმ** ტოტზე უნდა დაჯდე, რომელზედაც გალობას მოახერხებ!

● **შენი** გმირობით შენი სამშობლოს მტერი არ უნდა გააძლიერო!

● **შეგნებული** და შეგინებული ერთმანეთის სინონიმებიც შეიძლება აღმოჩნდნენ.

● **თუ** შეძლებულად არ ცხოვრობ, ხალხი შენს აზრს ანგარიშს არ უწევს!

● **სამშობლოს** ბოლიც ტკბილია, მაგრამ არც ძალიან აბოლებული სამშობლო ვარგა! — ეს **უნდა** გვახსოვდეს სიგარეტის მწევლებს!

● **ადამიანები** მდინარეებს თუ ჰგვანან, ისინიც ვალდებული არიან დროდადრო კალაპოტიდან ამოვარდნენ ხოლმე.

გიგა მახვილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამის წერილი შვილებისადმი

ზურგი მაქციეს შვილებმა, ვერ ამომიდგნენ მხარში,
ვერც ხვეწნამ გაჭრა, ვერც რისხვამ, კაცი ამაოდ დავშვრი!..
წავიდნენ!.. ჩემი მუდარა გაჰყვა ქარსა და ნიავს ..
ნეტავ ვიცოდე, მაგ ქალაქს რა ჯადო-მადლი სცხია?
ყრმას აცდუნებს და იზიდავს, როგორც ყვავილი ფუტკარს!..
მიმატოვეს და წავიდნენ, არ ბრუნდებიან უკან!..
კი, ხშირად მწერენ ბარათებს, მწერენ, რომ არა უჭირთ,
ღმერთი და რჯული, შიმშილით როდი უხმებათ კუჭი!
თურმე იცვლიან მალიმალ ადიდასებს და ჯინსებს,
ფული რომ შემოელევათ, მომვარდებიან მგლისებრ!..
ჰეი, თქვე უნამუსონო, როგორ გამაძვრეთ ტყავი:
ყიჩალებივით გამძარცვეთ, მხრებზე ძლივს შემრჩა თავი!..
ამიტალახეთ ჭიშკარი, პირიდან მაცლით ლუკმას,
ან იქ ივარგეთ, საცა ხართ, ან დამიბრუნდით უკან!
აგიწყვეტიათ ლაგამი და თვითნებურად ბუქნავთ,
გეყოფათ, ამიერიდან ჩემი იმედი ნუ გაქვთ!
დედის რძესავით შეგერგოთ, რაც ხელი მოგიმართეთ,
აწი თქვენც გაისარჯენით, მე ნუღარ მირევთ დავთრებს!
მამა ვარ, არა გრცხვენიათ, ცოცხლად ჯვარზე რომ მაცვით?!
თქვენმა წილხვედრმა ჭაპანმა მიწას ამაკრა კაცი!..
რას ეტყვით სოფელ-ქვეყანას ან სად წაუხვალთ სირცხვილს?!
ეჰ, არ მართლდება ანდაზა: გვარზე დახტისო კვიცი.
თქვენ ოფლი უნდა გღიოდეთ, ხელთ თოხი უნდა გეპყრათ,
კმარა უმიზნო ყიალი, ქვაფენილების ტკეპნა!
ქვაც ცვდება უქმად გდებითა, ხავსს მოიკიდებს თავად,
თქვენი ნაღვაწიც მანახვეთ, ვიდრე ცოცხალი დავალ!
თვალს გავუსწორებ ქვეყანას, გადავეჩვევი ოხვრას,
წელგამართული გავივლი, ახალს ჩავიცვამ ჩოხას,
მეტის ხალისით ვიშრომებ, არ გაგიცივებთ კერას,
ვიდრე არ მოვა მეზინდე, — წავყვე იქ, სადაც ჯერ არს!

იქნებ შენ მითხრა, „ნიანგო!“

თუ არ დავლიე ყოველდღე, ბლუ და უძლური ვხდები,
არც ცოცხალი ვარ, არც მკვდარი, მიმძიმს განძრევა მხრების!..
დავლევ და გავალმასდები, გადავირევი „ბოვშვი“,
სულ უმიზეზოდ თავს ვესხმი და ვაწიოკებ ცოლ-შვილს!..
ეჰ, ჩემი თავი ჯანდაბას, სხვასაც ვამწარებ, მჯერა,
ზურგი მაქცია სოფელმა, ყველა მიცქერის ცერად!..
არ ვიცი, ქვეყნად ჩემდარი მეორე კიდევ თუა, —
ერთბაშად გამომეფიტა აზრი, გონება, ჭკუა!..
ერთხელ ვიღაცამ სარდაფში შვილის სახელი მკითხა,
ვერ გავიხსენე ვერაფრით, თავი ვიმტვრიე დიდხანს!..
ვაი, ამ სმას და ამ ჭამას, როგორ მომეჭრა თავი! —
დღე მითენდება, ღამდება მოჩვენებებთან დავით!..
დავალ ჭრაფრის მაქნისი, ძილშიც დავეძებ სასმელს,
იქნებ შენ მითხრა, „ნიანგო“, რა მოვუხერხო ამ სენს?

დავით სალია
(ზუგდიდის რაიონი, სოფელი დარჩელი)

ნახ. ვ. კუციასი

— ჩემზე ავრცელებენ ჭორს, საჯაროობის წინაალმდეგიაო?

ნახ. გ. პეტრიაშვილისა

— როგორ მოემზადეთ ზამთრისათვის?
— შესანიშნავად: ფერმის გამგისთვის და ჩვენთვისაც ახალი შენობა ავაგეთ და ლუმელიც დავდგით!

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ არ შეგცივდათ, უფროსო? მოიხურეთ!..
— გმადლობთ! მე ისეთ თბილ სკამზე ვზივარ, რომ...

ცემენტის ახალი თვისება, ანუ მორალური რღვევების აღსაკვეთად

ფელეტონი

არ შ ე ი ძ ლ ე ბ ა სიამაყის გრძნობით არ აგევსოს გული, როცა ნახავ, სოფლად თუ ქალაქად რა ფართო მასშტაბებს იღებს აღმშენებლობა: შენდება საცხოვრებელი სახლები, სამეურნეო-სამრეწველო საწარმოები, სკოლები, პოლიკლინიკები, საბავშვო ბაღ-ბაღები, ხიდები, გზაგამტარები და მრავალი სხვა დანიშნულების ობიექტ-ნაგებობანი. ეს ყველაფერი დიდებულია, მაგრამ რაც უფრო ფართოვდება მშენებლობის მასშტაბები, მით უფრო მეტი საშენი მასალებია საჭირო. ამჟამად მხოლოდ ცემენტი გვაქვს მხედველობაში, რომლის შოვნა, რაც დრო გადის, სულ უფრო ჭირს!..

ახლა ყველასათვის ცნობილია, რა დიდი ყურადღება ექცევა ჩვენს ქვეყანაში კოლექტიური მებაღეობის განვითარებას, საბაღე ბინებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობას. **კოლექტიური მებაღეობა „ა ლ გ ე თ ი ს“ წევრებმა (თეთრი წყაროს რაიონი)** არაერთხელ მიაშურეს **მარნეულის, კოდის, სხვა ახლომახლო მდებარე ციკავშირის საბაღო ბაზებს**, მაგრამ ამაოდ! — ცემენტის შოვნა მაინც ვერ შეძლეს! ვერც თბილისში გახდნენ ვერაფერს!.. და ეს მაშინ, როცა დაუდგენელი პროფესიის ადამიანებს უშუალოდ ნაკვეთებში მოაქვთ ცემენტი, სარგებლობენ მისი დეფიციტურობით და ორმაგ, სამმაგ ფასში ყიდიან, სპეკულანტობენ, ჯიბეს ისქელებენ!..

ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულის გარეშე რომ ვთქვათ, სიმტკიცის, სიმაგრის საშუალება ადამიანთა მორალური რღვევის, ზნეობრივი დაცემის იარაღად არის ქცეული!

ერთხელ ასეთი დიალოგის მომსწრეც გავხდი. ერთ-ერთი მებაღის ჭიშკარს მსუბუქი ავტომანქანა მიადგა. იქიდან ორი ტანადი ენერგიული ახალგაზრდა გადმოვიდა. ეზოში მოჩალიჩე სამოციოდე წლის მებაღეს ჰკითხეს:

— ცემენტი ხომ არ გინდა, ბიძა? დღეს მოვრიგდებით, ხვალ მოგიტანთ!

— კი, როგორ არ მინდა! ტონა რა დამიჯდება?

— არც მეტი, არც ნაკლები, ას სამოცი მანეთი!

— ეს როგორ?! — შეცბა მებაღე, — ოცდათექვსმეტმანეთიან საქონელში ას სამოცი მანეთი?! ესე იგი, ხუთმაგი?! ნამეტანია! ნაკლებ არ იქნება?

— არა! ეს „ტაქსაა“! თუ გინდა, მოგიტანთ, თუ არ და, არ გაძალებთ!

— ბიჭებო, იცით, რა გითხრათ? გარეგნულად ლამაზები ჩანხართ, ბუნებას არაფერი დაუკლია თქვენთვის, ხორცი, ფერი, თვალი, ხელი, ტანადობა, მაგრამ რად გინდა, შინაგანად გაბრწყინლხართ, ცოცხლად ყარხართ! სამ თუშან-ნახევრად ღირებულ საქონელში ას სამოც მანეთს როგორ ითხოვთ?! — მიახალა გაბრაზებულმა მებაღემ და ჭიშკარი მიუხურა.

ამის შემდეგ იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს დასხდნენ თბილისელი ალგეთელები და იმსჯელეს, როგორ და რატომ მოხდა, რომ ახალი, მისთვის სრულიად შეუფერებელი თვისება შეიძინა ცემენტმა? როგორ შეიძლება საშენი მასალა ადამიანთა დაქცევის იარაღად იყოს გამოყენებულიო!.. რა ეშველება საქმეს? — დასვეს.კითხვა და თვითონვე უპასუხეს:

— უბრალო დაკვირვებითაც ჩანს, რომ მომწიფდა საკითხი — ან რუსთაველსა და კასპის ცემენტის ქარხნების სიმძლავრე უნდა გაფართოვდეს, ან კიდევ ერთი ახალი ცემენტის ქარხანა აშენდესო რესპუბლიკაში.

იფიქრებენ ალბათ ამაზე შესაბამისი ორგანოები და ცემენტს ჩამორეცხავენ იმ ლაქას, იოლი ცხოვრებით გატაცებულმა ადამიანებმა რომ მოსცხეს მას.

შალვა ბულეა

ავტომობილი ადამიანის მეგობარი უნდა გახდეს!

თანამედროვე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია ავტომობილის გარეშე. იგი სხვა ტრანსპორტთან შედარებით ძალზე მოხერხებული და რენტაბელურია, რა თქმა უნდა, ნორმალური მძღოლის ხელში. ამან განაპირობა საავტომობილო მრეწველობის სწრაფი ზრდა, რაც თითქოს მისასალმებელი და სასიხარულოც უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ, ავტომობილმა ბევრი თავსატეხი გაუჩინა მის თითქოსდა ბედნიერ მფლობელს. ესაა ასე მოხშირებული ავტოავარიები, რაზედაც ციფრობრივი მონაცემები და დამტვრეული ავტომანქანების პანორამები მეტყველებს. იშვიათად გავა დღე, რომ გულისშემძვრელი, თავზარდამცემი ცნობა არ მივიღოთ დაუდევრობისა თუ სხვა მიზეზთა გამო მომხდარ ავტოკატასტროფებზე, რასაც ყველაზე დიდი უბედურება — ადამიანთა მსხვერპლი ახლავს!..

რა იწვევს ავტოავარიებს, ვინ არიან ის უგუნური, თავზე ხელაღებული მძღოლები, რომ ვერ იმორჩილებენ თავსა და საჭეს და ამ დამჯერე, ჭკვიან მანქანას, ადამიანის ცხოვრების შესასმუშებლად განკუთვნილს, ჯოჯოხეთის იარაღად აქცევენ და ადამიანებს ჭიანჭველებივით ასრესინებენ?



პრობლემა ახალი არ არის, მაგრამ უკანასკნელ ხანს საქმე მეტისმეტად გამწვავდა. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საავტომობილო სახელმწიფო ინსპექცია, რომელიც სწორედ მოძრაობის მოწესრიგებისა და ავტოავარიებთან ბრძოლისთვისაა მოწოდებული, უკვე ხუთი ათეული წელია, დიდ და სერიოზულ მუშაობას ეწევა. ცხადია, სათანადო ეფექტსაც აღწევს, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილმა საგანგებო მდგომარეობამ საფუძვლიანად ჩააფიქრა მოძრაობის უსაფრთხოების მომწესრიგებელი ორგანოები. ამიტომ **საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, რომელიც მოწოდებულია დახმარება გაუწიოს რესპუბლიკის ავტოინსპექციას ამ მეტად რთული და პასუხსაგები საქმის მოგვარებაში.**

ინსტიტუტის წევრები — მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები, ხელოვნების მუშაკები, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები — სრული შეგნებითა და ენთუზიაზმით მოეკიდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ინსტიტუტმა პირველ რიგში ამოცანად დაისახა ზემოქმედება მოახდინოს ადამიანებზე, მოძრაობის პროცესში რომ არიან ჩართულნი. გვეგულება კი ადამიანი ამ პროცესის გარეშე?

ცხოვრებისეული გამოცდილებისა და სტატისტიკური მასალების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა საღი აზრი, რომ თუ მოძრაობის მოწესრიგება გვინდა, **უნდა მოწესრიგდეს მოძრაობაში ჩაბმული ყველა კომპონენტი, პირველ ყოვლისა, მძღოლი, ფეხით მოსიარულე და საგზაო ავტოინსპექტორი. განურჩევლად სქესისა და ასაკისა, ყველამ ხუთი თითივით უნდა იცოდეს ქუჩაში მოძრაობის წესები** და ჰქონდეს ამ მოძრაობაში მონაწილის მიმართ პატივისცემის გრძნობა, რაც ჩვენში ძალზე იშვიათი ხილია. მძღოლს ევალება, კარგად ფლობდეს მანქანას და უაღრესად ჰქონდეს განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა, ფეხით მოსიარულე მუდამ მოწესრიგებული უნდა იყოს, ავტოინსპექტორი ვალდებულია მოქმედებდეს გონივრულად, ხელმძღვანელობდეს მაღალი პრინციპებით და მხოლოდ კანონიერების დასაცავად აღმართოს კვერთხი! ასეთი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად მეტი იქნება ურთიერთგაგება მოძრაობაში ჩაბმულ ადამიანთა შორის და, აქედან გამომდინარე, — ნაკლები უბედური შემთხვევები.

სპეციალისტების აზრით, ავტოავარიის ძირითადი მიზეზი, რომელიც სიკვდილით მთავრდება, სიჩქარის გადაჭარბებაა, უმრავლეს შემთხვევაში კი სიჩქარეს აჭარბებს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ან თავქარიანი (სამწუხაროდ, ამ უკანასკნელის დეფიციტს არ განვიცდით) სოციალურად ჯერ კიდევ მოუმწიფებელი, ჩამოუყალიბებელი მძღოლი. ისიც ხდება, რომ რაკი თანამედროვე ავტომანქანები კომფორტაბელურია, მაგნიტოფონებით და ზოგჯერ ვიდეომაგნიტოფონებითაც აღჭურვილი, გართობის მოყვარულ მძღოლს ავტომობილში მოუნდება გართობა, რომელიც შეიძლება უკანასკნელიც გამოდგეს!.. ყველა შემთხვევაში ეს მძღოლის უკულტურობასა და უპასუხისმგებლობაზე მიუთითებს. ცხადია, აქ ჩვენ კულტურა სხვა გაგებით გვესმის, თორემ მძღოლთა უმრავლესობა ახლა ავტომოყვარულია, რომლებსაც შესაძლოა რამდენიმე დიპლომი უძევს ჯიბეში. ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ავტოინსპექტორის ინტელექტუალიზმსაც. თავნება მძღოლის უხეშობა და ამბიციები რომ აღკვეთო, თვითონ უნდა იყო თავშეკავებული, ცოდნით, განათლებით, მოქალაქეობრივი პრინციპულობით, პატიოსნებით, ობიექტურობის გრძნობით აღჭურვილი!

გაითვალისწინა რა დღევანდელ სიტუაციაში ავტოინსპექტორის როლის ამაღლების აუცილებლობა მოძრაობის უსაფრთხოებისათვის ბრძოლის საქმეში, **რესპუბლიკის ავტოინსპექციამ 1987 წლის ნოემბერში გამოცდა მოუწყო საგზაო ავტოინსპექტორებად მიღების მსურველებს და აღმოჩნდა, რომ 215-დან მხოლოდ 34-მა გაუძლო სადღეისო მოთხოვნებს,** ისიც ისე რა, რადგან ყველაფერი შედარებითია.

ინსტიტუტი იმედოვნებს, რომ მომთხოვნელობის ამაღლება დადებითად იმოქმედებს ავტოინსპექტორთა კადრების ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი პირობაა რეს პუბლიკის გზებსა და გზაჯვარედინებზე ავტოავარიების შემთხვევების შემცირებისა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრებისა და ავტოინსპექციის მუშაკთა შორის გულახდილი დიალოგი, თუ ვინ რა წვლილს შეიტანს ამ საჭირბოროტო პრობლემის გადაწყვეტაში, იმის საწინდარია, რომ ბოლოს და ბოლოს, ავტომობილი ადამიანის უბედურების მომტანი კი არა, მისი ნამდვილი მეგობარი და თანაშემწე გახდება, რაც მისი უპირველესი დანიშნულებაა!

ეანი სიხარულიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოდ ეთ ბეკნობთ?...

გარეთ ხხვა აქვს,
შიგ — ხხვა ხედი,
გულგრილია და თავხედი!..
თვითკრიტიკა არ სურთ ბეცებს,
ის ხხვის თვალში სულ ბეწვს ეძებს.
მისთვის რაა ხხვისი ჭირი? —
რომ იტყვიან, ღობეს ჩხირი!..
გაგამდიდრებს უცებ ენით,
ხხვასთან ხხვაა,
შენთან — შენი!..
უყვარს კვანტი და რა კვანტი!
თავი მოაქვს ზოგჯერ ამით,
აუღია ბევრჯერ ქრთამიც!..
ღმერთს იფიცებს
და ხან ალაჰს!
თუ დასჭირდა, გესვრის ტალახს!..
აქილიკებს, ყველას იგდებს,
თუ რამეში არ სჭირდება,
სალამსაც არ გადმოგიგდებს!..
სიმართლის მთქმელთ
ის თვლის მტრებად,
სიგლახეში არაკაცებს ეჯიბრება.
არ მოეშვა სხვათა ჩხიკინს,
სამსახურში მოიყვანა
ბიძაშვილი — „ყვავის ჩხიკვი"...
უხურდება ზოგჯერ კეფა,
თითქოს კი არ ლაპარაკობს, —
გამუდმებით გესმის ყეფა!..
„რასაც შეჭამ, შეგერგება!" —
ასე ფიქრობს, როგორც მგელი.
საცობია, ყველა ბოთლს რომ
მოერგება
სამაგელი!
ზოგჯერ ქურდსაც ეწვის ქუდი,
თავად ყვირის:
„არ გაუშვათ არსად ქურდი!"
სისუფთავეს იცავს მწვავედ,
ძირს ურის ნაგავს და ნამწვავებს,
ბევრჯერ უთქვამს: „არ ვსვამ აწი!"
კვლავ უჭირავს ხელში ყანწი!
ჯერჯერობით გახლავთ „კაცი",
სიკეთისგან განარიყი,
გულის ნაცვლად ქვა აქვს რიყის,
მედროვეა,
სავარძელში ამოსულა,
როგორც ნიყვი!..
უვიცია,
მოედება ალთა-ბალთას
ვნახოთ, სანამ დააფარებს
„მწყალობელი" მის თბილ კალთას!..

დავით ხუროძე

ნახ. მ. აბაშიძისა

გინდ დაიჯერეთ, გინდ—არა!

უვარლის რაიონის **სოფელ საბუის** მაღაზიის გამყიდველმა **გიორგი ნანიკაშვილმა** საბჭოთა ვაჭრობის წესების დაცვის ახალი „პროგრესული" მეთოდი დანერგა თავის მუშაობაში და პირველი ექსპერიმენტი სოფელ ენისელში მცხოვრებ **ზეინაბ ივანიაძესთან** ჩაატარა — **ცხრაას მანეთად ღირებული მოშლილ-მოყანყალებული საძინებელი გარნიტური „პოლიანა" ათას ორმოცდაათ მანეთად მიჰყიდა!** გარნიტურს აკლდა უამრავი წვრილმანი დეტალი, მაგრამ გამყიდველმა წვრილმანად ჩათვალა დაზარალებული მყიდველის პრეტენზია. **ზ. ივანიაძემ** „ნიანგს" მომართა საჩივრით. ეს რომ გაიგო **გ. ნანიკაშვილმა**, მაშინვე აფრინა ხალხი მომჩივანთან და ოქროს მთებს შეჰპირდა; ოღონდაც ნუ მიჩივლებ და, გარნიტურსაც შეგიცვლი და ზედმეტად აღებული თანხის სანაცვლოდ ორ საწოლსაც დაგიმატებო!..

მართლაც მიუტანეს ქალბატონ ზეინაბს ლამაზად შეფუთული გარნიტური, „ნიანგის" რედაქციის სახელზედაც დააწერინეს ახსნა-განმარტებითი ბარათი გარნიტური შემიცვალეს და გამყიდველს აღარ ვუჩივიო, მაგრამ... როცა — გარნიტური გახსნა, იგი აღმოჩნდა ადგილობრივი, ახალდაბის ნაწარმი, თან უხარისხო!... ზედმეტად აღებულ ას ორმოცდაათ მანეთს მერე მოგცემთო! — დაამშვიდეს მოტყუებული მომხმარებელი.

მაღაზიის გამგემ **ზაურ მანჩხაშვილმა** კი „ნიანგს" მოსწერა — ოღონდაც ეს ყველაფერი მე მაპატიეთ და **ნანიკაშვილს** დღესვე მოვხსნი სამსახურიდანო! ჩვენ არ ვიცით, შეასრულა თუ არა **მანჩხაშვილმა** თავისი დანაპირები, მაგრამ უვარგის გარნიტურს რას უშველის უსინდისო გამყიდველის მოხსნა?

ვანო ცინცაძე,
ნანა ჯაჯანაშვილი,
„ნიანგის" სპეცკორესპონდენტები.

ნეტავ რომ ეს ლექსები

...

ИУМОРЕСКА

ИСЕТИ სამსახური მაქვს, მარტო ჟურნალ-გაზეთების კითხვა მევალება. არ იფიქროთ, ზარმაცი ვიყო: დილით უთენია გავრბივარ სამსახურში, ჩვენი დაწესებულების წინ სპეციალურად გახსნილ საგაზეთო ჯიხურში ვყიდულობ ყველა ჟურნალ-გაზეთს, რასაც ჩვენს ჯუჯღუნა გამყიდველთან ზედმეტად მიცემული 20 კაპიკით ულაპარაკოდ ვიღებ, ვჯდები და ვიწყებ კითხვას. მე მეკალება აღმოვაჩინო ჟურნალში ან გაზეთში დადებითი ან უარყოფითი მასალა, რაც მხოლოდ ჩვენს დაწესებულებას შეეხება ან, საერთოდ, ფრიად საყურადღებო სტატია და ამის შესახებ მოვახსენო ჩემს უფროსს. მერე უნდა ნახოთ, როგორ იქნევს თითს ჩემი უფროსი დილის თათბირზე და ამბობს:

— წაიკითხეთ, ამხანაგებო, რა წერია „პრავდაში"?, „კომსომოლსკაია პრავდაში"?, „კომუნისტში"?, „თბილისში"?, „ნიანგში"?

გაოცებული თანამშრომლები პირდაღებული შესცქერიან ფრიად განვითარებულ უფროსს და უკვირთ, როდის ასწრებს ეს კაცი ამდენი ჟურნალ-გაზეთის წაკითხვასო?!

მე მეორე ფრიად მნიშვნელოვან საქმესაც ვაკეთებ, ოღონდ ამას ჩემთვის: თუ სადმე გამოცხადებულ კონკურსს წავაწყდები, ვწერ შესაბამის წერილს, სტატიას, ლექსს, რომანს, მოთხრობას და ვიმარჯვებ. ამას წინათ ერთ-ერთმა გაზეთმა კონკურსი გამოაცხადა თანამედროვე თემის ამსახველ ყველაზე მინიატიურულ ლექსზე. მაშინვე გამოვაცხვე ორი ლექსი, გავგზავნე და გავიმარჯვე კიდეც.

აი, ის ორი ლექსი:

ახლა ისეთი დრო,
ნაღდად საჭირო რო!

და

გათენდება — ავდგებით,
დაღამდება — დავწვებით!

მაგრამ ერთ რამეზე მწყდება გული: გარდაქმნა ჯერჯერობით არ შეეხო კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოებების დაბეჭდვის საქმეს.

ათი წლის წინათ კონკურსში გამარჯვებულ ჩემს ერთ რომანს, რომლის სათაურია „რა ღირს კილოგრამი ჰაერი?" დღესაც გამომცემლობის მტვერი ჭამს. მეორე რომანი სათაურით — „ვის ვუკრავთ ტაშს?" (ისიც კონკურსში გამარჯვებული) ვიღაც რეცენზენტმა დაიწუნა. კონკურსში გამარჯვებულ ნაწარმოებს რად უნდა რეცენზია? ხომ არ აჯობებს, გამოვაცხადოთ კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოებების კონკურსი? ან იქნებ მოხდეს სასწაული და დაიბეჭდოს კონკურსში გამარჯვებული ეს ლექსები?

ჩემს ბედში ბევრი მწერალია. ბოლოს და ბოლოს, ამ სფეროშიც უნდა დაბეროს გარდაქმნის ქარმა!

რატომ უნდა დაიკარგოს შედევრები?

РЕВАЗ ОСЕФАИШВИЛИ



უსიტყვოდ

ნახ. ი. გვილავასი

ბირთვული განიარაღების პირველი ყლორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" № 8 (1757). თებერვალი. გამო- 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგაევი

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 30. 12. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 02 88 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14, შეკვ. 3052 უე 04712. ტირაჟი 140000 ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

7-00
60 10
ეროვნული ბიბლიოთეკა
სასივნაღო